განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
18 თებერვალი, 2020 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი

30 მარტი, 2020 წელი

თბილისი
2020

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | საჯარო სამართლის იურიდიული პირი ილიას სახელმწიფო უნივერსტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204861970 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია |
| განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | მეცნიერების ბაკალავრი ელექტრულ და ელექტრონულ ინჟინერიაში (0719) |
| სწავლების ენა | ინგლისური |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | ახალი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ვალერიან გობრონიძე (სტუ, საქართველო) |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | შალვა კვირკველია (სტუ, საქართველო) |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ანი ხეცურიანი (შზსუ, საქართველო) |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: „ელექტრონული და ელექტრული ინჟინერია“ მიზნად ისახავს საინჟინრო სფეროს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას და ფოკუსირებულია ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის გამოყენების ისეთ სფეროებზე, როგორიცაა საავტომობილო ინდუსტრია, სამშენებლო ინდუსტრია, თავდაცვა, ნავთობისა და გაზის ინდუსტრია, ელექტროენერგიის გენერაცია და სარკინიგზო ინდუსტრია.

უნივერსიტეტის მიერ სააკრედიტაციო განაცხადი წარდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის პირველი აკრედიტაციის მოსაპოვებლად.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის „ელექტრონული და ელექტრული ინჟინერია“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აკრედიტაციის მაძიებლის თვითშეფასების ანგარიში და მასზე თანდართული დოკუმენტაცია. ასევე, განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული შემდეგი პრინციპით: ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით) და თავისუფალი კომპონენტები. სასწავლო კურსები წარმოდგენილია როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი სახით. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი). პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი. სწავლების მეოთხე წელს, ბოლო ორი სემესტრის განმავლობაში, 3-6 სტუდენტისგან დაკომპლექტებული ჯგუფი მუშაობს დამამთავრებელი კურსის დიზაინის პროექტზე (თითოეულ სემესტრში 6 კრედიტის მოცულობით). საბაკალავრო პროგრამით მისანიჭებელ კვალიფიკაციაა მეცნიერების ბაკალავრი ელექტრულ და ელექტრონულ ინჟინერიაში (0719).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 18 თებერვალს (სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 15.01.2020 წლის N31975 ბრძანება „აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტის შესახებ“). ვიზიტი მოიცავდა ინტერვიუებს დეკანთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აფილირებულ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან, მონათესავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ასევე, ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტის შენობა, სადაც ხორციელდება პროგრამა, ლაბორატორიები და ბიბლიოთეკა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასება ყველა სტანდარტის მიხედვით შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

  - საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში გასწორდეს გამოყენებული ტერმინოლოგია პროგრამის სტრუქტურის აღწერით ნაწილში („ზოგადი მოდული“, „ძირითადი სპეციალობა“) და შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრულ ტერმინოლოგიასთან.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - მიზანშეწონილია პროგრამის დასახელებიდან „ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)“, ამოღებულ იქნას ტერმინი - „ძირითადი სპეციალობა“ სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;
  - მიზანშეწონილია ანტენების ან/და უსადენო ტექნოლოგიების ლაბორატორიის მოწყობა პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის;
  - მიზანშეწონილია სასწავლო კურსს - ციფრული კომუნიკაციები - ექვივალიზაციის ტექნოლოგიების და OFDM-ის შესწავლას დაეთმოს უფრო მეტი დრო.
  - მიზანშეწონილია სასწავლო კურსის „ანტენების თეორია და დიზაინი“ სილაბუსში დაემატოს სწავლის შედეგი პრაქტიკული უნარების განვითარების შესახებ;
  - მიზანშეწონილია სასწავლო კურსის - ფიზიკა1 - ქართულენოვან სილაბუსში წინაპირობა შესაბამისობაში მოვიდეს ინგლისურენოვან სილაბუსთან.
  - მიზანშეწონილია სასწავლო კურსის - ელექტრომაგნიტური ტალღები - ქართულ სილაბუსში შეივსოს თემატიკა/ატივობების ველი ინგლისურენოვანი სილაბუსის შესაბამისად;
  - მიზანშეწონილია დამსაქმებელთა წრის გაფართოება.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br><br>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის მიმართულებით (მიკროელექტრონიკის, სიგნალის დამუშავების, ტელეკომუნიკაციების, ელექტრობის, კონტროლისა და ელექტროენერგიის ინჟინერიაში). კურსდამთავრებულებმა უნდა შეძლონ წარმატებით გამოიყენონ თავიანთი ცოდნა, უნარები და გამოცდილება კონკურენტულ გარემოში, ქონდეთ წარმატებული ელექტრული და ელექტრონული ინჟინერის კარიერა და ემსახურებოდნენ პროფესიონალური და სამოქალაქო საზოგადოებების მზარდ საჭიროებებს; კურსდამთავრებულებმა უნდა შეიძინონ გუნდის როგორც ეფექტური ლიდერობის, ასევე ეფექტური წევრობისთვის აუცილებელი უნარები; კურსდამთავრებულები არ უნდა ჩამორჩნენ დარგის განვითარების თანამედროვე ტენდენციებს. პროგრამა მიზნად ისახავს შეესაბამებოდეს:<br>• აკრედიტაციის საერთაშორისო მოთხოვნებს (ABET);<br>• საერთაშორისოდ აღიარებულ საბაკალავრო პროგრამას (სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (SDSU) ელექტრული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა).<br>პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ და ორიენტირებულია შესაბამისი კომპეტენციების და უნარების მქონე კადრების მომზადებაზე. ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია თანამედროვე და მაღალგანვითარებადი დარგია. პროგრამის |

| |
|---|
| განხორციელების შემთხვევაში, მას აქვს განვითარების, ახალი ცოდნის და უნარების შექმნის პოტენციალი როგორც ქართველი ისე უცხოელი სტუდენტებისათვის. პროგრამის არსებობა ხელს შეუწყობს დარგში ახალი სტარტაპებისა და ბიზნეს იდეების გაჩენას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>• საგანმანათლებლო პროგრამა;<br>• ინტერვიუს შედეგები;<br>• ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა და სამოქმედო გეგმა;<br>• მრჩეველთა საბჭოს ფოკუს ჯგუფის ანგარიში;<br>• სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ფოკუს ჯგუფების ანგარიშები;<br>• საერთაშორისო ექსპერტების (ABET) უკუკავშირისა და რეკომენდაციების ამსახველი ანგარიში. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>მიზანშეწონილია პროგრამის დასახელებიდან „ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)", ამოღებულ იქნას ტერმინი - „ძირითადი სპეციალობა" სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის სწავლის შედეგები კუმულაციური სახით წარმოდგენილია შვიდი სწავლის შედეგის სახით. პროგრამის შედეგები შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს საბაკალავრო საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერს - განზოგადებულ სწავლის შედეგებს. პროგრამის მიზნები და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მკაფიოდ და ნათლად არის ჩამოყალიბებული, არის რეალისტური, მიღწევადი, გაზომვადი და კორელაციაში ცალკეული კურსის სწავლის შედეგებთან. პროგრამის სწავლის შედეგებში ცხადად არის განსაზღვრული დარგისთვის საჭირო ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობები და ავტონომიურობა.

პროგრამის სწავლის შედეგები ასევე, ეფუძნება ABET აკრედიტაციის სტანდარტებს საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებს საინჟინრო პროგრამებისთვის, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობას დარგის სპეციფიკასთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

სწავლის შედეგებთან ერთად, გათვალისწინებულია სწავლის შედეგების როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მექანიზმები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

  • საგანმანათლებლო პროგრამა;

  • პროგრამის სწავლის შედეგების/კომპეტენციების რუკა; სამიზნე ნიშნულები; შეფასების გეგმა;

| |
|---|
| • ილიას სახელმწიფო უნივერსტეტის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი;<br>• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები.<br>• ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია როგორც ქართველი ისე უცხოელი სტუდენტებისათვის.<br>პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, საქართველოს მოქალაქეებმა უნდა გაიარონ ერთიანი ეროვნული გამოცდები. თითოეული გამოცდისთვის დადგენილია მინიმალური კომპეტენციის დონეები.<br>საერთაშორისო სტუდენტების ჩარიცხვა შესაძლებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე მოქმედი რეგულაციების შესაბამისად. დამატებით აპლიკანტებმა უნდა დაადასტურონ ინგლისური ენის ცოდნა, რომელიც შეესაბამება ევროპის საერთო შეფასების ჩარჩოს B2 დონეს ან მეტს და გაიარონ წერითი ან ონლაინ ტესტი მათემატიკაში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>მტკიცებულებები/ინდიკატორები<br>• საგანმანათლებლო პროგრამა;<br>• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;<br>• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მარეგულირებელი წესი;<br>• ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:** |

| |
|---|
| წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი** |
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br><br>ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული შემდეგი პრინციპით: ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით) და თავისუფალი კომპონენტები. სასწავლო |

კურსები წარმოდგენილია როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი სახით. საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი თანმიმდევრული და ლოგიკურია, ორიენტირებულია პროგრამით გათვალისწინებული მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევაზე. იგი შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციებთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმის შემადგენელი სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კომპონენტებში ასახულია დარგის თანამედროვე ტენდენციები და გამოყენებულია შესაბამისი სასწავლო მასალები და რესურსები.

საგანმანათლებლო პროგრამა პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი). პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი. სწავლების მეოთხე წელს, ბოლო ორი სემესტრის განმავლობაში, 3-6 სტუდენტისგან დაკომპლექტებული ჯგუფი მუშაობს დამამთავრებელი კურსის დიზაინის პროექტზე (თითოეულ სემესტრში 6 კრედიტის მოცულობით). პროექტის მთავარი მიზანია სტუდენტების მიერ პროგრამის ფარგლებში შეძენილი ცოდნისა და უნარების გამოყენება ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის სფეროში საინჟინრო დიზაინის შექმნის მიზნით. ამასთან, კომპონენტის ფარგლებში ვლინდება სტუდენტის პროექტის დაგეგმვის, საკომუნიკაციო და გუნდური მუშაობის უნარები.

მიუხედავად პროგრამის შინაარსობრივად გამართული სტრუქტურისა, საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში, პროგრამის სტრუქტურის აღწერით ნაწილში გამოყენებული ტერმინოლოგია („ზოგადი მოდული“, „ძირითადი სპეციალობა“) არ არის შესაბამისობაში სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრულ ტერმინოლოგიასთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
  მტკიცებულებები/ინდიკატორები
  - საგანმანათლებლო პროგრამა;
  - სილაბუსები;
  - პროგრამის სემესტრული გეგმა;
  - ილიას სახელმწიფო უნივერიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
  - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;
  - ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

| |
|---|
| წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები<br><br>• საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში გასწორდეს გამოყენებული ტერმინოლოგია პროგრამის სტრუქტურის აღწერით ნაწილში („ზოგადი მოდული“, „ძირითადი სპეციალობა“) და შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრულ ტერმინოლოგიასთან. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.3. სასწავლო კურსი |
|---|
| ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |

| |
|---|
| პროგრამის ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ასევე თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. კურსის სილაბუსებში ასახულია კურსის სწავლის შედეგისა და პროგრამის სწავლის შედეგის შესაბამისობა. შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე კურსებში განსაზღვრულია შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები. კურსის სწავლების შედეგების შეფასება დეტალურად არის მოცემული კურსის სილაბუსში და მოიცავს შესაბამის შეფასების კომპონენტებსა და კრიტერიუმებს. კომპეტენციების მიღწევა უზრუნველყოფილია თითოეული სასწავლო კურსისათვის შესაბამისი ლიტერატურით და სასწავლო რესურსებით.<br>მიუხედავად აღნიშნულისა, ცალკეული სილაბუსები მოითხოვს გარკვეულ დაზუსტებებს:<br>სასწავლო კურსში - ანტენების თეორია და პროექტირება - კურსი თავისი დასახელებითაც და შინაარსითაც გადის პრაქტიკულ შედეგზე, რაც კურსის შედეგებში არ არის მითითებული.<br>სასწავლო კურსი - ციფრული კომუნიკაციები - ითვალისწინებს ექვივალიზაციის ტექნოლოგიების და OFDM-ის შესწავლას, რასაც შესაძლებელია დაეთმოს უფრო მეტი დრო სიღრმისეული შესწავლისთვის. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ავტორი სილაბუსში შეცდომით არის მითითებული.<br>ცალკეულ შემთხვევებში ინგლისური და ქართული სილაბუსები არ არის ერთმანეთთან თანხვდენაში:<br>სასწავლო კურსი - ფიზიკა1 - ქართულ სილაბუსში წინაპირობაა კალკულუსი, რომელი იმავე (პირველ) სემესტრში ისწავლება, თუმცა ინგლისურ სილაბუსში ასეთი წინაპირობა არ დევს;<br>სასწავლო კურსში - ელექტრომაგნიტური ტალღები - ქართულ სილაბუსში არ არის შევსებული თემატიკა/ატივობების ველი, თუმცა ინგლისურ სილაბუსში ეს ხარვეზი არ არის. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>მტკიცებულებები/ინდიკატორები<br>• საგანმანათლებლო პროგრამა;<br>• სილაბუსები;<br>• პროგრამის სემესტრული გეგმა;<br>• პროგრამის სწავლის შედეგების/კომპეტენციების რუკა; |

• ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია სასწავლო კურსს - ციფრული კომუნიკაციები - ექვივალიზაციის ტექნოლოგიებს და OFDM-ის შესწავლას დაეთმოს უფრო მეტი დრო.
- მიზანშეწონილია სასწავლო კურსის „ანტენების თეორია და დიზაინი“ სილაბუსში დაემატოს სწავლის შედეგი პრაქტიკული უნარების განვითარების შესახებ.
- მიზანშეწონილია სასწავლო კურსის - ფიზიკა1 - ქართულენოვან სილაბუსში წინაპირობა შესაბამისობაში მოვიდეს ინგლისურენოვან სილაბუსთან.
- მიზანშეწონილია სასწავლო კურსის - ელექტრომაგნიტური ტალღები - ქართულ სილაბუსში შეივსოს თემატიკა/ატივობების ველი, ინგლისურენოვანი სილაბუსის შესაბამისად.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა გარდა თეორიული ცოდნისა, ორიენტირებულია პრაქტიკული უნარების განვითარებაზე, რაც უზრუნველყოფილია ინდივიდუალური და ჯგუფური პრაქტიკული ხასიათის პროექტების, ამოცანების, ლაბორატორიული სამუშაოების შესრულებით. ამ თვალსაზრისით, ასევე, მნიშვნელოვანია საკვალიფიკაციო ნაშრომი - დამამთავრებელი კურსის დიზაინის პროექტი (Senior Design Project), რომელზე მუშაობისას სტუდენტებს უხელმძღვანელებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი, რომელსაც გააჩნია SDSU პროგრამის საკვალიფიკაციო ნაშრომის/პროექტის (Senior Design Project) ხელმძღვანელობის გამოცდილება. დამამთავრებელი კურსის დიზაინის პროექტის განხორციელებაში ჩართულები იქნებიან ორგანიზაციები, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები, რაც ითვალისწინებს შესაბამის თანამშრომლობას.

პროგრამა მხარდაჭერილია ციფრული და ანალოგური ელექტრონიკის თანამედროვე ლაბორატორიებით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის საგანმანათლებლო შედეგების მიღწევას და პრაქტიკული უნარების განვითარებას. ასევე, შესაძლებელია კრეატიული შემოქმედებითი პროექტების განხორციელებაც, რისთვისაც პროგრამაში გათვალისწინებულია შესაბამი ფინანსური რესურსები, მათ შორის საკვალიფიკაციო პროექტის შესრულების დროს. გათვალისწინებულია სტუდენტების ჩართულობის შესაძლებლობა ექპერიმენტულ აქტივობებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
  მტკიცებულებები/ინდიკატორები
  - საგანმანათლებლო პროგრამა;
  - სილაბუსები;
  - ურთიერთთანმშრომლობის მემორანდუმები;
  - მრჩეველთა საბჭოს დებულება;
  - ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

| |
|---|
| წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

| |
|---|
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>პროგრამით გათვალისწინებული სწავლის თითოეული კომპონენტისთვის გათვალისწინებულია კურსის შინაარსის და მიზნების შესაბამისი სწავლება-სწავლის მეთოდები, რაც შესაძლებელს ხდის კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში გამოიყენება სწავლების სხვადასხვა თანამედროვე მეთოდი: ინტერაქციული ლექციები და სემინარები; აქტიური სწავლების მეთოდები; ანალიზისა და სინთეზის მეთოდი; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; პროექტები; |

| |
|---|
| დისკუსია/დებატები; ინდივიდუალური და ჯგუფური (collaborative) მუშაობა; თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება; გონებრივი იერიში (Brain storming), რეფლექსია; დემონსტრირების მეთოდი; ლაბორატორიული მუშაობა; პრაქტიკული მუშაობა.<br>სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და აკადემიური მომზადების, აგრეთვე საგანამანათლებლო პროცესში მათი შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, შესაძლებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება, რომელშიც ჩართულია უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი - „ბავშვთა და მოზარდთა განვითარების კლინიკა“. გათვალისწინებულია ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები ლექტორებთან და ტუტორთან. ასევე, საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევების/შეფასებების მეშვეობით ხდება კონკრეტული პრობლემის (დაბალი აკადემიური მოსწრების, მობილობით მოსარგებლე, სპეციალური საჭიროებების მქონე, სტატუსშეჩერებული, უცხოელი/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების საჭიროებები) მიზნობრივი კვლევა, რაც იძლევა პრობლემის სიღრმისეული შესწავლისა და მასზე ორიენტირებული ინტერვენციის განხორციელების შესაძლებლობას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>მტკიცებულებები/ინდიკატორები<br>• საგანმანათლებლო პროგრამა;<br>• სილაბუსები;<br>• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;<br>• შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, მექანიზმები და ინსტრუმენტები;<br>• ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. საბაკალავრო პროგრამაში შემავალ ყველა კომპონენტში განსაზღვრულია შეფასების სისტემა. სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა სტუდენტს შესაძლებლობა აქვს თავიდანვე გაეცნოს სილაბუსებს და კურსის დაწყებისთანავე იცოდეს შეფასების ძირითადი კომპონენტები და კრიტერიუმები. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს სათანადო ცოდნას შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით. შეფასების წესი ითვალისწინებს შეფასების გასაჩივრების პროცედურებს.

სასწავლო კურსების შეფასების ფარგლებში გათვალისწინებულია სტუდენტთა მხრიდან უკუკავშირის მიღება კურსით განსაზღვრული შეფასების სისტემის ეფექტიანობის შესახებ და გამოიყენება კურსის შეფასების სისტემის ცვლილებისთვის მისი გაუმჯობესების მიზნით. კერძოდ, გამოკითხვების შედეგად დგინდება თუ რამდენად ინფორმირებული იყო სტუდენტი წინასწარ შეფასების სისტემის შესახებ, რამდენად ობიექტური იყო შეფასება, დროულად იტვირთებოდა თუ არა შეფასების შედეგები ელექტრონულ სისტემა “არგუსში”,

იღებდა თუ არა ლექტორისგან უკუკავშირს ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და სხვა. ელექტრონული სისტემა “არგუსი” უზრუნველყოფს ასევე თითოეული კურსის ფარგლებში სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზს ავტომატურ რეჟიმში. გამოკითხვის შედეგები ხელმისაწვდომია როგორც ლექტორთათვის, აგრეთვე ფაკულტეტის/სკოლის ადმინისტრაციისთვის და გამოიყენება კურსის შეფასების სისტემის ცვლილებისთვის მისი გაუმჯობესების მიზნით.

თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში, სტუდენტს ეძლევა საშუალება ლექტორისაგან მიიღოს საკუთარი ნაშრომისა და ქულის შესახებ უკუკავშირი. საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტში მოქმედი სტუდენტთა შეფასების წესის შესაბამისად, რომელიც არეგულირებს შეფასების გასაჩივრების პროცედურებს და პირობებს, სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა საპრეტენზიო განაცხადით მიმართოს ფაკულტეტს/სკოლას საპრეტენზიო კომისიის შექმნის და შესაბამისი პროცედურების დაწყების მიზნით.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს „აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი“, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალისთვის სწავლა-სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების კუთხით უნარ-ჩვევების განმავითარებელი მოდულების შეთავაზებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
  - საგანმანათლებლო პროგრამა;
  - სილაბუსები;
  - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ;
  - პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;
  - ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი;
  - ინტერვიუს შედეგები;
  - კურსების შეფასების კითხვარი.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): |
|---|
| ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება** |
| o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | X | | | |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |

